თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 27 ივლისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში პროგრამა ,,კორპუსი"-ს ფარგლებში გადასახური მასალის შეძენის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის (110 ობიექტი), საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენის (36 ობიექტი), ცენტრალური გზებიდან მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობის (32 ობიექტი) და ნაგავშემკრები ე.წ. ,,ბუნკერები"-ს გაუქმების და გალვანიზირებული ფოლადის ფურცლებისაგან დამზადებული მოძრავი სანაგვე კონტეინერების შეძენის (745 ობიექტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურო წინადადების განხილვის შესახებ (საკონკურსო განცხადების №595. 24.07.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა" - 43000 (ორმოცდასამიათასი) ლარზე დღგ-ს ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 27 ივლისის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა" მიიღო 28,9 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში პროგრამა ,,კორპუსი"-ს ფარგლებში გადასახური მასალის შეძენის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის (110 ობიექტი), საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენის (36 ობიექტი), ცენტრალური გზებიდან მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობის (32 ობიექტი) და ნაგავშემკრები ე.წ. ,,ბუნკერები"-ს გაუქმების და გალვანიზირებული ფოლადის ფურცლებისაგან დამზადებული მოძრავი სანაგვე კონტეინერების შეძენის (745 ობიექტი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა (კახაბერ ხვარეშია) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ~~კოტე რატიანი~~

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი